საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 54 2022 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ

1. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

კახა შენგელია – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი – საბჭოს თავმჯდომარე;

ზურაბ ორჯონიკიძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ივანე აბაშიძე – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

დავით ბოსტოღანაშვილი – შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

გაგა გვენეტაძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;

ელიზბარ ელიზბარაშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;

ნიკა თიკანაშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოციირებული პროფესორი;

ნინო იმნაძე – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გია ლობჟანიძე – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ერმილე მესხია – სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი;

ელენე ჟურავლიოვა – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლელა სალაყაია – ა(ა)იპ – ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთან მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;

გაიანე სიმონია – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

კონსტანტინე სირბილაძე – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ანა ფირცხალაშვილი – შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტ სეუს“ სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით ვიცე-რექტორი.

2. ბრძანება ძალაშია 2022 წლის 17 თებერვლიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი